ახლა უმაროვის ნათესავები შეშფოთებული არიან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. უმაროვის ადვოკატის განცხადებით, როცა მან თავისი კლიენტი საპყრობილეში ნახა, იგი ტანზე გახდილი იყო და ვერ ახერხებდა ნორმალურად ლაპარაკს.

სამართალმოძებნელი აღნიშნავენ, რომ უზბეკეთის ხელისუფლება ხშირად იყენებს ფსიქოტროპულ პრეპარატებს იმ მიზნით, რომ პატიმრებისგან მიიღონ აღიარებითი ჩვენებები. მაგრამ ქვეყნის სამართალდამცველი ორგანოების განცხადებით, ისინი მხოლოდ და მხოლოდ კანონის ფარგლებში მოქმედებენ.

როგორც ცენტრალური აზიის რეგიონში მოქმედი მიმომხილველები აღნიშნავენ, გასული წლის მაისში ანდიჟანში მომხდარი სისხლისმღვრელი მოვლენების შემდეგ, უზბეკეთის ხელისუფლებას სდევნის ყველას, ვინც ღიად აკრიტიკებს მთავრობის მიერ განხორციელებულ პოლიტიკას.

მიმდინარე კვირას გაგრძელდება ასევე „მზიური უზბეკეთის“ მეორე აქტივისტის – ნადირა ხიდოიატოვას სასამართლო პროცესი, რომელსაც იმავე ბრალდებებს უყენებენ, როგორც უმაროვს.

ხიდოიატოვა დააპატიმრეს გასული წლის დეკემბერში, მას შემდეგ, რაც მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე გააკრიტიკა უზბეკეთის მთავრობა. ამ ადამიანს არ აძლევენ ოჯახის წევრებთან და ადვოკატებთან შეხვედრის უფლებას.

უზბეკეთის პრეზიდენტმა ისლამ ქარიმოვმა ჯერ კიდევ 10 წლის წინათ დაარბია ოპოზიციური პარტიები. მაგრამ ქვეყანაში მაინც იზრდება ადამიანების უკმაყოფილება კორუფციისა და ცხოვრების დაბალი დონის, აგრეთვე, იმის გამო, რომ ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებს უზბეკეთის ეკონომიკას.

მოკლედ

თეთრი სახლი ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ ნასა-ს მეცნიერებმა არაფერი თქვან სათბობის ეფექტის საშიშროების შესახებ, რადგან მათი სამეცნიერო დასკვნები ეწინააღმდეგება ბუშის მიერ გაკეთებულ განცხადებებს, წერდა იტალიური „ლა რეპუბლიკა“. შეერთებული შტატების ხელისუფლებამ უკვე დაუწესა ცენზურა ფიზიკოს ჰანსენის სტატიებს, რომელიც ალბუ ხშირად აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას დედამიწაზე კლიმატური ცვლილებების შესახებ.

* * *

უკრაინის უზენაესი რადის იმ დეპუტატებს, რომლებმაც გადაყვანეს იური ეხანუროვის მთავრობა, იგი არალეგიტიმურად მიაჩნიათ. ხელისუფლება კი ემზადება ყველა იმ რესურსის ამოძრავებისთვის, რომლებიც მას მოუტანენ გამარჯვებას 26 მარტის არჩევნებში, განაცხადა რუსეთის გაზეთ „იზვესტიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უკრაინის უზენაესი რადის სპიკერმა ვლადიმერ ლიტვინმა.

* * *

ნიგერიაში გაათავისუფლეს „ჭელის“ ოთხი გატაცებული თანამშრომელი. გუშაგარეთის, ამბრიკის, დიდი ბრიტანეთის და ჰონდურასის მოქალაქეები 11 იანვარს გაიტაცეს ეთნიკური დაჯგუფების – „ნიგერის დელტის გათავისუფლებისთვის მებრძოლი მოძრაობის“ მოთარეშეებმა. გამტაცებლები აცხადებენ, რომ ეს არის მათი მხრივ კეთილი ნების გამოვლინება.

◎ დედაქალაქი

იყიდება სინდის-ნამუსი, რა იქნება შემდეგ?

„საქართველოს რესპუბლიკამ“ წამოიწყო დისკუსია დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ტერიტორიის – რიყის როლსა და ფუნქციაზე, არქიტექტურულ სახესა და ესთეტიკაზე. გამოუცდელობით არქიტექტორ ვახტანგ დავითაიას ორი წერილი – „რიყე დიდი არქიტექტურული ზეიმის ღირსია“. ცნობილმა არქიტექტორმა შემოგვთავაზა ამ ტერიტორიის ფუნქციური და არქიტექტურულ-სივრცეობრივი ორგანიზაციის რადიკალურად ახლებური ხედვა. დღეს ვაძლევთ ჟურნალ „ოფეროვნის“ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით ანდრიაძის წერილს, რომელიც უთუოდ საჭურადღებო გამოზმურებაა დედაქალაქის ბოლო ხანს ასე ბავრცელებული „პრივატიზაციის“ ერთი კონკრეტული ფაქტის გარშემო.

თბილისის არქიტექტურაზე ქალაქდოა გრძელდება. მოხდა ის, რაც დღევანდელი ხელისუფლებისთვის ასე ნიშანდოდლეივია: ქვეყნისა და დედაქალაქის თავკაცები მნიშვნელოვანი, მგრძნობიარე, სტრატეგიული პოლიტიკის გადაწყვეტილებას გაურბიან ყოველგვარ დიალოგს, განსჯას, ეროფიციების შეჯერებას, პროფესიონალთა აზრს და კვლავაც ძალისმიერ, ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ამჯობინებენ. უმეწყალოდ ითელება ანგონი, დემოკრატიისა და ჯანსაღი თანაცხოვრების ელემენტარული წესი.

თბილისის ახალი საერთაშორისოაეროვაგზლის შენოგაზე ფოკუსმოოგვრელი „ტენდერების“ გამოცხადების შემდეგ, კიდევ ერთი საკვირველი ფარსი თამაშდება. ვიდრე ჩვენი არქიტექტორები და თბილისელები არკვევენ თუ როგორი იქნება რიყის მომავალი, თბილისის მერიამ გამოაცხადა კონკურსი რიყის უზარმაზარი ტერიტორიის (43.350 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთის ერთ-ერთ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

შეგახსენებთ: საზოგადოებრივი და პროფესიული აზრის იგნორირებით, მერიამ ახლახან გაკეთდა საოცნებო ძალაქ „მზიურის“ დიდ ნაწილს სარეკრიაციო ზონის სტატუსი შეუცვალა და მას საზოგადოებრივ-საძმიანი (კოეერციულიძ ზონის სტატუსი მიანიჭა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მზიურის“ ცენტრში აღმოცენდებიან მრავალსართულიანი ოფისები, საცხოვრებელი სახლები და სასტუმროები. ყოველივე ეს პრინციპიულად ცვლის „მზიურის“ ადრინდელ სტატუს. როგორ გინდა საზოგადოება დაუჯერო, რომ ამგვარი ალოგიკური გადაწყვეტილებები მარტოოდენ ხელისუფლების უმეცრების და არაპროფესიონალიზმის შედეგია... მსგავსი გადაწყვეტილებების უკან გინეტური ბიზნესი, ანგარება და მოგხვეჭელოგა დგას.

მგლის თავზე სახარეგას კითხულოგდენო, ზუსტად ისეა ქართველ არქიტექტორთა საძმე. ისინი ათ წელიწადზე მეტია, მოუნოდებენ თბილისის ხელისუფალთ არ დაამახინჯონ დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული უბნის – რიყის მომავალი. ბოლოს და ბოლოს, ერთი ოგიეტი ხომ მაინც უნდა გაკეთდეს ისეთი, რომელიც ისტორიას შეიმუნახავს ქართველ ხუროთმოძღვართა ინტელექტუალურ შესაძლებლობებს.

მართალია, რიყის გასხვისების კონკურსს აცხადებს ქ. თბილისის მიწის მართვის და განაკარგვის საკონკურსო კომისია, მაგრამ არა გვგონია, ის დამოუკიდებლად მოქმედებდეს. არქიტექტორთა საყოველთაო თვალსაზრისით, ეს კომისია ერთოგ დაბალი დონეა მსგავსი საკითხების გადაწყვეტისთვის. ან კიდევ: კომისიამ თუ ქალაქის მთავრობისგან, საკრებულოსგან, არქიტექტურის სამსახურისგან დამოუკიდებლად მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, ეს სამსახურებრივი უფლებამოსილების აშკარა გადაჭარბებაა, რისთვისაც კანონმა წინაშე პასუხი უნდა აგოს.

რიყის რეპრეზენტაცია

რიყე თბილისის ერთი მგრძნობიარე ზონათაგანია; ქალაქის სხეულის ერთი ყველაზე გამორჩეული „ეროგენული“ ნაწილი, რომელსაც ჩვენი დედაქალაქის ურბანულ რეალობაში, სამწუხაროდ, ვერ იძნა და ვერ მოიპოვა არქიტექტურულ-სივრცული სტატუსი. აქედან გამომდინარე, ის სტატუსკვო, ცოტა არ იყოს, მაუბული „ყოფაქცევის“ ოიეზი რომ დაუგკვიდრა რიყის, მუდმივად უხიმბეს „ფულიან ბიჭებს“ დაეუფლონ მას, თავისებურად გადაანაწილონ მისი მიმზიდველი „სხეული“.

დიახ, რიყე ის სიმბოლური სცენა, სადაც უკვე რახანია მიმდინარეობს სხვადასხვა ჯურის ბიზნესსუბიექტების ეკონომიკური ლტოლვების დაბაღდება.

ასეა თუ ისე, რიყე ჩვენს თვალწინ ყალიბდება როგორც თბილისის თავისებური, მე ვიტყოდი, მარგინალური აგორა, ჩვენი დედაქალაქის მულტიკულტურული სივრცის ერთგვარი დეცენტრირებული ველი.

თანამედროვე აგორა კლასიკურისგან იმით განსხვავდება, რომ აქ ადგილი არა აქვს არტიკულირებულ მეტყველებას; ერთი განკერძოებული არქიტექტურული ენის გატონობა რიყეზე გამორიცხულია. რაც შეეხება საკუთრივ რიყის. მიუხედავად აქ განლაგებული არაერთი კუსტარული „ხუროთმოძღვრული“ ოგიეტისა, მათში განთავსებული „ინდაკვების ცენტრებით“, უბანში სამპარისეგული სიწუმეა. სტიქიურად შეკოწიწებული დუქან-რესტორნები ინტერაქციული ურთიერთოგების ჩახშოგისკენ უფროა მიმართული, ვიდრე ცოცხალი დიალოგისკენ. ყოველივე ამის მიზეზი, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ სიმპათიის განცდა რიყის ტერიტორიაზე წმინდა ვიზუალურ დონეზე კი არ ხორციელდება, არამედ პირიქით, ნეგსით თუ უნეგლიეთ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ ამ ბრძნობის გლოკირეგა მოხდეს. ყველაფრის თავიდათავი, ეტყობა, ისევ და ისევ, ის მოსაწყენი ერთფეროვნეგა, მონოტონურობა და მონოლოგიზმია, რომელიც გასაძანს არ აძლევს რიყის სტუმარს, ზინაურულად იბრძნოს თავი, როგორც საკუთარ სახლში, თუნდაც გარკვეული ხნით გაითავისოს რიყე, როგორც საკუთარი კულტურულ-სიმბოლური ინტერესის საგანი და არა როგორც „სხვისი“ ეკონომიკური ინტერესის ობიეტი.

ფაქტია, რიყე უნდა გახდეს, უფრო ზუსტად, ისევ უნდა იქცეს დედაქალაქის ურბანული სხეულის ცოცხალ ძსოვილად, ხოლო ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი მისი ჩახერგვა „მარადიული“, კონსტანტური არქიტექტურული მოცულობებით. ამ გაგებით, რიყე არქიტექტორთათვის შესაძლოა იქცეს მოცემულობად, რომელიც მუდმივი პროოვიცირებისაკენ უბიძგებს მათ შემოქმედებითი ფანტაზიის და წარმოსახვის გამაჭოლი მოქმედებისთვისაც განაწყოს.

რეპრეზენტაციის, როგორც ესთეტიკურ-კულტურული თამაშის პრინციპია ჩადებული ჩვენი ცნობილი ხუროთმოძღვრის, რუსთაველის პრემის ლაურეატის ვახტანგ დავითაიას მიერ შემოთავაზებულ პროექტში, რომელიც რიყეს განიხილავს, როგორც თეატრალურ სცენას და ემყარება არქიტექტურული სიტუაციის, კომპოზიციის, ატმოსფეროს, განწყობილების და სხვა ამგვარი აურატული ფაქტორების მუდმივ ტრანსფორმაციასა და ცვლებადობას. ამ გაგებით, არქიტექტურა განიხილება, როგორც მეტაგალოურ-გიოოლოგიური პროცესი და გულისხმობს მთლიანად სივრცის, ასევე ცალკეული არქიტექტურული ფორმების პერიოდულ ცვლებადობას.

თეატრი და არქიტექტურა (ხოლო შესაბამისად, თეატრალურობა და არქიტექტურულობაძ მხატვრული კულტურის განსხვავებული ფენომენებია, მაგრამ, მათი სინთეზი კულტურულ-ისტორიულად დროში გაბოცდილი მოვლენაა. ვფიქრობთ, ერთობ საგულისხმოა და ანგარიშგასაწევი რიყის განვითარების კონცეფციის ავტორის დეგულება, რომ „ისევე როგორც სპექტაკლის სცენოგრაფიას არ მოეთხოვება ანგარიში გაუწიოს თეატრალური დრამაზის არქიტექტურას, მის სტილს, ასევე, რიყე-სცენას არ მოეთხოვება კონტექსტი გარემოსთან, ატმოსფეროსთან, განწყობილებასთან. ის დროებითი და წარმავალია“.

დროებითობა და წარმავლობა, მართლაცდა, არქიტექტურის ერთი ეგზისტენციალური კოდთაგანია, რომელსაც, რატომღაც, ანგარიშს არ ვუწევთ. მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ხუროთმოძღვრება მარადიულობის სიმულაციის სფეროა, არადა დროებითისა და წარმავლობის განცდის გარეშე არქიტექტურა აკარგავს ცოცხალ ჯოტფურ-მითოსურ ხიბლს და უსულგულო მშენებლობად იქცევა.

ხსენებული პროექტი რიყეს წარმოგვიდგენს როგორც საკუთრივ სხეულს, ერთგვარ ტანს, რომელიც, ეოიგებს ნეგნისმიერ არქიტექტურულ-რეპრეზენტაციულ იდეას.

სხეული ორგანიზმი, ანდა მხოლოდ ორგანიზმი არ არის. ესაა არქიტექტურული კოდებისა თუ სოციოლეტეგების სისტემა, სიმბოლური სისტემა, რომელიც მეტწილად ეკონომიკური მანძანითაა ამოძრავებული. ეს „მანქანა“ არა მხოლოდ ეკონომიკურია თავისი არსით, არამედ ეკონომიურიც, ამგვარ ეკონომიას კი უნდა განსაზღვრავდეს თვით არქიტექტურული ფორმების რეპრეზენტაციული მოდელიც. მოდელი, რომელიც ერთჯერადი, დროებითი პრინციპით მოგვაწვდის რიყის სივრცულ ატმოსფეროს ხსენებული პროექტი რიყეს წარმოგვიდგენს როგორც საკუთრივ სხეულს, ერთგვარ ტანს, რომელიც, ეოიგებს ნეგნისმიერ არქიტექტურულ-რეპრეზენტაციულ იდეას.

ასეთი სივრცეში (თუ სივრცეებშიძ არა იმდენად გარემოსთან, რამდენადაც გარემოებასთან კონტაქტში უნდა შევიდეს და შეიცვალოს... მეტიც, რიყეზე მისული ადამიანი უნდა იქცეს გარემოების ადამიანად, როგორც ჯოსტმოდერნულ სუბიექტად. გარემოების ადამიანი კი, ჯან ბოდრიარს თუ დავიმოწმებთ, უკვე მესაკუთრე, ანდა სულაც საცხოვრისის მფლობელი კი არ არის, რამდენადაც გარემოს აქტიური გარდამქმნელი, ვისთვისაც სივრცე მოცემულობაა, გადასასწორებელი სტრუქტურა. და სწორედაც, ამ სივრცეზე კონტროლით უსარია ადამიანს საგანთა ურთიერთმიმართების ვარიანტები და შეაბაც, მივჯნებაზე ხდება. ადამიანი ასეთ სივრცეში (თუ სივრცეებშიძ არა იმდენად გარემოსთან, რამდენადაც გარემოებასთან კონტაქტში უნდა შევიდეს და შეიცვალოს... მეტიც, რიყეზე მისული ადამიანი უნდა იქცეს გარემოების ადამიანად, როგორც ჯოსტმოდერნულ სუბიექტად. გარემოების ადამიანი კი, ჯან ბოდრიარს თუ დავიმოწმებთ, უკვე მესაკუთრე, ანდა სულაც საცხოვრისის მფლობელი კი არ არის, რამდენადაც გარემოს აქტიური გარდამქმნელი, ვისთვისაც სივრცე მოცემულობაა, გადასასწორებელი სტრუქტურა. და სწორედაც, ამ სივრცეზე კონტროლით უსარია ადამიანს საგანთა ურთიერთმიმართების ვარიანტები და შეაბაც, მივჯნებაზე ხდება.



ამგვარ როლებს გვთავაზობს რიყის თეატრალიზებული ადაპტაციის ვახტანგ დავითაიასეული პროექტი, რომელიც, პირადად ჩემთვის, სულ მცირე, კულტუროლოგი ბრ ვლანში იმსახურებს აუცილებელ ყურადღებასაც და თანადგომასაც და თამამი პროფესიონალიზმის სვამს რიყის ჯერეოვანი ურბანული რეპრეზენტაციის საკითხს, რომელიც, იმედია, საკითხად (და საკითხავადაძ არ დარჩება.

დავით ანდრიაძე,
საქართველოს ეროვნული გალერეის არტ-დირექტორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, კულტუროლოგი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

დავითი და გოლიათი

დავოსში დასრულებული ყოველწლიური მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ზოგიერთი მონაწილე დაინტერესდა, თუ რატომ მოხდა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ჯერ შეწყვიტა დავოსში ვიზიტი და დაბრუნდა თბილისში, შემდეგ კი კვლავ ჩავიდა შვეიცარიის ამ საკურორტო ქალაქში. და ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობა იტანჯებოდა მოსკოვთან ენერგეტიკული დაპირისპირების გამო.

ამის მიზეზი ცნობილი გახდა საკაშვილთან ხანგრძლივი ინტერვიუს დროს. იგი შეეხო ჩვენთვის მანამდე უცნობ დეტალებს, კერძოდ, გვესაუბრა, რომ ცდილობდა ენერგეტიკული კრიზისის დაწყების პირველივე საათებში დაკავშირებოდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს და სხვა მოსკოველ სახელმწიფო მოხელეებს, თუმცა, ეს უკანასკნელნი არ დათანხმდნენ მასთან საუბარზე, და ამის შემდეგ სააკაშვილმა ეს ამბავი მოუთხრო „სი-ენ-ენ“-ის და „გი-ბი-სის“ ჟურნალისტებს.

ქვა, რომელიც დავითმა შეიკლება სტყორცნოს რუსეთის ენერგეტიკულ გოლიათს, არის ენერგეტიკული დივერსიფიკაცია. სააკაშვილი გვესაუბრა ასეთ სტრატეგიაზე, რომელსაც უკვე მნიშვნელოვნად შეამცირა რუსულ ელექტროენერგიაზე საქართველოს დამოკიდებულება – 80 პროცენტიდან იგი 30 პროცენტამდე შემცირდება ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის გზით. აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან ახალი მილსადენის გამოყვანა კი საქართველოს მისცემს იმის საშუალებას, რომ 100 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 50 პროცენტით დარჩეს დამოკიდებული რუსეთისგან გაზის მოწოდებაზე.

მიმდინარე წლის მაისში სააკაშვილი თბილისში გამართავს ევროკავშირ-ენერგეტიკული დარგის წარმომადგენელთა შეხვედრას, რომელზეც განიხილავენ სხვა იმ მილსადენებით სარგებლობის შესაძლებლობას, რომელიც რუსეთს არ ეკუთვნის.

ფრედერიკ კემპე.
„უოლ სტრიტ ჯორნელი“ (აშშ).

ჟაკ შირაკს პირდაპირ ეთერში ეხუმრნენ

საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი ძალზე კმაყოფილი იყო იმის გამო, რომ კანადის ახლად არჩეული პრემიერ-მინისტრი მას ერთ-ერთ პირველს დაუკავშირდა ტელეფონით. თუმცა, შირაკის სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა – გაირკვა, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს პირდაპირ ეთერში ეხუმრა ორი კანადელი რადიოწამყვანი.

მონრეალის „სი-ქი-ოუ-აის“ რადიოსადგურის დუეტი – სებასტიენ ტრუდელი და მარკ-ანტუან ოდეტი – ცნობილია „ნიღბიანი შურისმაძიებლების“ სახელით. მანამდე მათ ასევე „გაავცურეს ჰოლ მაკარტნი და ბონო, რომელთაც დიდძალი ფული იშოვა დონალდ ტრამპის უძარავი ქონებით, აგრეთვე, მოდელერალი ჯანეტ ჯექსონი და ბოლოფის ლეგენდა ტაიგერ ვუდსი.

თუმცა, პრეზიდენტებს ისინი აქამდე ვერ უგულავდნენ ასე მახუმრებას. „სახელმწიფოს მეთაურს ჩვენ პირველად ვეზუმრეთ, – თქვა ოდეტმა. კანადის ახალ პრემიერ-მინისტრს სტივენ ჰარპერს და ჟაკ შირაკს ჯერჯერობით არ უსაუბრიათ ტელეფონით, და დიპლომატიაზე დაწყებულ დარეკვებს ბოლოს ბოლო ეს, ეშოდა, როგორც ხედავთ, ყველაფერი კარგად გამოგვივიდა“.

შირაკი ძალზე თავაზიანი იყო. „მსურს მოგილოცოთ არჩევნებში გამარჯვება, – თქვა მან. – ჩვენს ქვეყნებს შორის ჩინებული ურთიერთობაა დამყარებული და მწამს, ყველაფერი ასეთივე სულისკვეთებით გაგრძელდება“.

სატელეფონო საუბრის დროს ოდეტმა დაიჩივლა, რომ ფრანგული გაზეთები მის შესახებ ათასგვარ სისულელეს წერდნენ. ამის პასუხად შირაკმა თქვა: „გაზეთებს ვერ დაუჭერ სისულელის წერას, ეს ხდება როგორცაფრანგეთში, ისე კანადაშიც“.

„მართალს ბრძანებთ, ბატონო პრეზიდენტო. გაუშარჯოს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას“, – განაგრძობდა საუბარს ოდეტი. ამის შემდეგ პრეზიდენტმა შირაკმა თავისი კანადელი „კოლეგა“ საფრანგეთში მიიწვია.

როცა ოდეტმა ეკითხა ფრანსუა შირაკს, ეს ერთი გულიანად გადაიხარხარა. „რას გააწყობ, ნეგისმიერ შემთხვევაში დარწმუნებული ყავხვიო, რომ ჩემი მეგობრობა კანადასთან და ახალ მთავრობასთან ნამდვილად არ არის ხუმრობა“.

„ბი-ბი-სის“ რუსული სამსახური

მოსკოვთან კონფლიქტის პირობებში, აფხაზეთის მიმართ საქართველო ხაზგასმულად რბილ პოლიტიკას ახორციელებს

(პირველი გვერდიდან)

საქართველოს ხელმძღვანელობის ახლებური მიდგომა გულისხმობს შემდეგს: თბილისი საჯაროდ გამოაცხადებს, რომ ხელს იღებს აფხაზეთის მიმართ იზოლაციონიზმის პოლიტიკაზე. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კანცელარიაში გვაცნობეს, თბილისი უკვე მიმდინარეობს თვისი არის მზად შეცვალოს პოზიცია აფხაზეთის მიმართ ისე, რომ ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის საზოგადოებას გაუჩნდეს გარე სამყაროში გასვლის რეალური შესაძლებლობა. ამასთან, თბილისში ნაზგასმით ალნიშნავენ, რომ ეს არანაირად არ ნიშნავს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროგლემის მფლობელობის მოწესრიგების გეგმებზე უარის თქმას. პოზიციასთა დაახლოებას ამ ეტაპზე სასფუძვლად უნდა დაედოს „ნულოვანი“ ფაზა ბოდრიარსა და საამარი მოქმედების განუახლებელობის გარანტიების შესახებ.

თვით ირაკლი ალასანიას თქმით, აფხაზეთის მიმართულებით ფუფაოზა წარმართეგა ისე, რომ აფხაზეთი გახდეს „უფროხელმისაწვდომი“, ანუ, ამ რეგიონში განხორციელდეს რაც შეიძლება მეტი ჰუმანიტარული პროგრამა, უფროო ინტენსიური გახდეს კონფლიქტები არასამთავროო დონეზე, რათა თვითსალიარებული რესპუბლიკის მოსახლეობა დარწმუნდეს იმაში, რომ ქართველებთან ერთად სავსებით შესაძლებელია დემოკრატიული საზოგადოების შედგნა.

სოხუმთან ახალი ურთიერთობის დამყარების სტრატეგიის აუცილებლობა თვით ცხოვრებითაა ნაკარნახევი – 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში აფხაზეთის იზოლაციას არაფერი კარგი არ მოუტანია რესპუბლიკის მოსახლეობისთვის. როგორც კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავს მიაჩნია, მოლაპარაკების პროცესი თბილისსა და სოხუმს შორის ნაკლებად ფუფქტიანია, სადღაც ოდ ყველაზე ძნელია ეს ბოლოს ეგა, რომელიც, ძირითადად, ქართველებითა დასახლებული, არ გადაჭრილა. „უკვე მერამდენე წელია ვერ ვახერხებთ თვითონ ისეთი პროგლემის დადაჭრასაც კი, როგორიც არის გალის რაიონში გაერო მეთვალყურეთა ოფისის განყოფილების ბახსა. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ როგორღაც ამინდ იყოს დაცული ადგილობრივი მოსახლეობა თვითაღიარებული რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების, აგრეთვე, იქ მოთავსებული კონფლიქტები არასამთავრობო დონეზე, რათა თვითსალიარებული რესპუბლიკის მოსახლეობა დარწმუნდეს იმაში, რომ ქართველებთან ერთად სავსებით შესაძლებელია დემოკრატიული საზოგადოების შედგნა.

ეს ნაბიჯები ალასანიას თქმით, ეეფექტიანი ბრ ბოლოს ეგა, ეს ხდება ოდ ეგ ეგ ეგ

◎ ევრო-2008

სათვალავში არავინ გვაგდებს. იქნებ ასეც სჯობდეს

ეს ისეთი შემთხვევაა, როცა ვერც ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობას გაეგებინებინა ვინ ვინ და ვერც ძვეძნის ნაკრების მწვრთნელება – ამჯერად ქოქილა ფორტუნას უნდა დავეყაროთ, რომელმაც, ევრო-2008-ის შესარჩევი ეტაპის, მარილაც რომ, „სიკვდილის ჯგუფში“ საფრანგეთის, იტალიის, უკრაინის, შოტლანდიის, ლიტვისა და ფარერის კუნძულების გუნდებთან ერთად გაგვამწესა („გ“ ჯგუფიძ. გთავაზობთ ფეიერარის ძალაძ მინტრეში გამართული კენჭისყრის სრულ შედეგებს:

„ა“ ჯგუფი. პორტუგალია, პოლონეთი, სერბეთი, ბელგია, ფინეთი, სლოხეთი, აზერბაიჯანი, ჰაზახეთი.

„ბ“ ჯგუფი. საბერძნეთი, თურქეთი, ნორვეგია, ბოსნია, უნგრეთი, მოლდოვა, მალტა.

„დ“ ჯგუფი. ჩეხეთი, გერმანია, სლოვაკეთი, ირლანდია, უელსი, კვიპროსი, სან-მარინო.

„ე“ ჯგუფი. ინგლისი, ხორვატეთი, რუსეთი, ისრაელი, მსტონეთი, მაკედონია, ანდორა.

„ვ“ ჯგუფი. შვიდეთი, ესპანეთი, დანია, ლატვია, ისლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია, ლიხტენშტაინი.

„ზ“ ჯგუფი. ჰოლანდია, რუმინეთი, ბულგარეთი, სლოვენია, ალბანეთი, ბელორუსია, ლუქსემბურგი.

„ჯვაროსანთა“ მოგებასა ვეტოდეთა გაჯადამიდე, სფფ თავკაცობა აწი მაინც ვერ დაიწუწუნებს – კომერციულად არახელსაყრელ ჯგუფში მოვხვდითო – დაგვითანხმებენთ, ფრანგთა და იტალიელთა (სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ) მონაწილეობით გამართული მატჩების ირიდანირე ტელეეპორტაჟებისათვის სოლიდური

შემოსავლების მილების იმედი შეგვინლია ვიქონიოთ.

აქამდე ჩვენი გუნდი ფრანგებს, შოტლანდიელებსა და ფარერის კუნძულელებს სანაკრეკო დონეზე ჯერ არ შეხვედრია, დანარჩენებთან კი ასეთი გალანსი აქვს:

საქართველო – იტალია. 0 მოგება, 1 ფრე, 3 წაგება.

საქართველო – უკრაინა. 0 მოგება, 2 ფრე, 4 წაგება.

საქართველო – ლიტვა. 3 მოგება, 1 ფრე, 1 წაგება.

აქვე გაუწყებთ, რომ „გ“ ჯგუფის ალენდარს გოგოლეგი 9 თეგერვალს პარიზში შეათანხმებენ, ახლა კი გაეცანით კენჭისყრის საზეიმო ცერემონიალის შემდგომ გამოთქმულ მოსაზრებებს:

ნოდარ ახალკაცი: – საკმაოდ რთულ ჯგუფში მოეხვედით. საფრანგეთზეადაიტალიაზე კოფეტბარის გაკეთებაც კი ზედმეტია. ასევე კარგი გუნდი ჭყავს უკრაინასაც და, ალბათ, შოტლანდიასთანაც გაგვიჭირდება. ეგ კი არა, ფარერებს რომ აუბასაიდერად თვლიან, მე ასე არ ვფიქრობ. თანადგომდროვე ფეხბურთში ყველა ფერია მოსალოდნელი და ხელწამოსაკრავ ძალას არც კუნძულელები წარგოადგენენ. მიუხედავად ამისა, ფარ-ხმლის დაჯრას არ ვაპირებთ და შევეცდებით ღირსეულად ვიასპარეზოთ.

კლაუს ტოპიოლერი: – ვფიქრობ, შესანიშნავ ჯგუფში მოვხვდით. ძალიან ძნელი მეტოქეები გვეყოლებიან. მათგან ასმი წლეულს მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშეს, რაც უკვე ყველაფერზე მეტყველებს. ყველაზე მეტად ჟოტლანდიელებთან მოხვედრაგ გამახარა – მოგეხსენებათ, „ჰემპდენ პარკთან“ დიდებული მოგონებები მაკავშირებს (2002 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს გულისხმობს). დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრები ისევე კარგად იასპარეზებს გლაზგოში, როგორც ოთხი წლის წინათ ჩემმა დამოძღვრილმა „ლეგერკუზენმა“ ითამაშა.

რაინერ ზომენეში (საფრანგეთი): – ძლიერი და სუსტი ჯგუფში არ არსებობს – ასეთია ჩემი პოზიცია. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული – თუ კარგადვითამაშებთ, ფინალურეტაპზე გასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს. გამახარა იმ ფაქტმა, რომ იტალიელებთან მოგვიწევს დუელი – აპენინელებთან ბრძოლა ყოველთვის სასიამოვნოა.

მარჩელო ლიპი (იტალია): – საკმაოდ რთულ ჯგუფში მოვხვდით. საფრანგეთი, უკრაინა, შოტლანდია ის გუნდები არიან, რომელთა დამარცხებაც ყოველთვის დიდ სიძნელეს წარგოადგენს. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს მოგახსენებთ.

ოლეგ ბლოხინი (უკრაინა): – ტრადიციულად, შესარჩევი ციკლის წლისწყრისას უკრაინის ნაკრებს არასდროს უფართლებდა. თუმცა, ამჯერად მოვახერხეთ და მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც გავედით. ჩვენი დვიეზია – პატივი ეცი შენს მეტოქეს, ოლოდ არ შეეეშინდეს. მუნდიალზე ჩვენი თამაში სწორედ საძმისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა და მომდევნო შესარჩევ ეტაპსაც ამ პრინციპით წარვმართავთ.

უოლტერ სმიტი (შოტლანდია): – საფრანგეთის, იტალიისა და უკრაინის ნაკრებები ჩვენს ძვეჯგუფში ფავორიტებად მოიაზრებიან და მეც ასე ვფიქრობ, თუმცა ფუქლებელი არაფერია და იმედი მაქვს, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაშის შანსი ჩვენც მოგვეცემა.

ალგიმანტას ლიუბინსკასი ლიტვა: – ყველაზე მეტად იმ ფაქტმა გამახარა, რომ „ა“ ჯგუფში არ მოვხვდით. სადაც სამი პოტსაბაჭოური ნაკრები ბამოსაწყლებენ. ბოლოს ეს ეს ეს ... ეს ... ეს ...

საეკლესიო კალენდარი

ღირსი ეფრემ მცირე, ფილოსოფოსი

31 იანვარს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ეფრემ მცირეს, რომელიც იყო მწერალი, მთარგმნელი, დიდი ქართველი საეკლესიო მოღვაწე. მან კონსტანტინოპოლში მიიღო ბერძნული განათლება.

ეფრემი შავ მთაზე დაემოწაფა საბა თუშარელს, ანტონ ტბელს, ეფრემ ოშველს, არსენ იყალთოელს, სტეფანე ჭულაველს, მღვდელ გაბრიელს და სხვებს.

ეფრემმა შეძლო საკუთარი თეორია და სისტემა მთარგმნელობითი საქმიანობისა, ამ თეორიას სამი ასრულებითი ნიშანი ახასიათებს: პირველი – თხზულება უნდა ითარგმნებოდეს დედნიდან, მეორე – შესრულებული თარგმანი ზედმიწევნით ზუსტი უნდა იყოს და მესამე – თარგმანზე დართული უნდა იყოს სპეციალური კომენტარები...

ეფრემ მცირის ორიგინალურ ნაშრომთაგან გამოირჩევა „უწყებანი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენიების“.

ბერძნული წყაროებით ასაბუთებს ეფრემი ქართველთა შორის წმინდა ნინოს ქადაგების შესახებ, კათოლიკოსთა ხელდასხმისა და მირონის კურთხევის ნეგართვის მოპოვების თარიღს.

ეკლესიისა და ერის წინაშე დამსახურებისთვის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ეფრემი, წმინდანად შერაცხა.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

SOS!

რატომ არ იყიდება ყველგან „საქართველოს რესპუბლიკა“?

ჩვენი გაზეთის გამავრცელებელთა საჭურადღებოდ!

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები, ეს უკვე მერამდენედ, გულწრფელად და პრინციპულად შეგვახსენებენ, რომ გაზეთის გამავრცელებლები ბევრგან თავს არიდებენ ამ მართლაც სანდო, აკადემიური, გაწონასწორებული, ტრადიციული, ყოველდღიური გამოცემის გაყიდვა-გავრცელებას.

მიზეზად ერთსა და იმავეს ასახელებენ: გაუყიდავ ეგზემპლარებს უკან არ იბრუნებენო!

ძვირფასო გამავრცელებლებო! – „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და გაზეთის გამომცემელი შპს „თანადგომა-1“ კარგა ხანია ყველა გაუყიდავ ეგზემპლარს უპირობოდ იბრუნებს უკან. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, მოითხოვეთ მეტი და მეტი „საქართველოს რესპუბლიკა“. თუ მოპკლებთ ჩვენს ერთგულ მკითხველს ამ მართალი, პრინციპული, გამართული დედაქართულით შეძღნილი გაზეთის წაკითხვის საშუალებას.

გაუყიდავ ეგზემპლარებს კი, თბილისშიც და ქუთაისშიც, გათუმშიც და ოზურგეთშიც, ზუგდიდსა და სენაკშიც, ბორსა თუ თელავშიც, ყველგან, მთელ საქართველოში, თითოეული გამავრცელებლისგან უკან დაბრუნებთ. თუ თქვენ ამის საშუალება არა გაქვთ, დაგვიკავშირდით რედაქციაში ტელეფონებზე: 98-96-33 ან 98-96-32 და ჩვენ უზრუნველყოფთ მათ დაბრუნებას.

კიდევ ერთხელ გთხოვთ, ყურად ილოთ ჩვენი თხოვნა. წარმატებული გამავრცელებლები წახალისდებიან.

გაგეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, შპს „თანადგომა-1“

ზამთარია

მშობლები რომ ახსოვთ, ისეთ შვილებს გაუმარჯოთ!

კინოსცენარივით ამბავი, რომელიც გასულ კვირაში ნამდვილად მოხდა

სოლოლაკი. ძველთბილისური ეზო. ჩანს, რომ წუხელ ხვავრილად უთოვია. ჭინული ლოლუები ჩურჩხელებივით ჩამგრეხილებულნაძალიძ. ჭინავს..

შუშაბანდღიანი ბინის პირველი სართული. სახლში ორნი არიან – შუახანს გადაცილებული ცოლ-ქმარი საბანში გახვეულა. კაცს ღვიძავს. ადგომა ეზარება. წუხელ დენი გამოირთო და ვინ იცის, როდის მოვა. გაზიც გაიითიშა, შეშაც შემოელიათ. ჰენსიის ფულიც ფაფუ... ვაუქშვილი ცალკე ცხოვრობს ცოლ-შვილით, მაგრამ გამოვილის დღეს?.. წესიით უნდა მოვიდეს, იძინებ შვილიშვილიც გამოიყოლოს... თუმცა, არა, არა, არ გაუცივდეს ბავშვი ამ თოვაში და უტრანსპორტოებში...

კაცი დგება, ხვლეკ-ხვლეკებით, ნელ-ნელა იცვამს, ცოლიც იშმუშნება, ელვიძება. „ნიკო, გადი საბურთალოზე და მოგცემს ნოდარი შეშის ფულს.. ასე, რაფერ უნდა ვიყოთ?..“

„აბა, ნახე ერთი, გაიხედე გარეთ რამხელა თოვლი დევს.. ალბათ ტრანსპორტიც არ მოძრაობს.. ფეხით ჩავიდე საბურთალოზე?.. დავვარდები სადმე და გეტირება ყოფა“, – გუზლუნებს კაცი, – „რაღაცა გამოჩდება, ღმერთია მოწყალე... ნავთძურაში, მგონი, არის ცოტა ნავთი, ჩაის ავადუღებ“.

„კი, კი, მე ავდგები და დავადგამ“ – ძალი საწოლს აჭარაჭუნებს, წამოდგომას აპირებს.

* * *

ნიკო ბინაში შესასვლელი კარებიდან ეზოს ჭიშკრისკენ ნიჩბით თოვლს კვლავს. მეორე სართულიდან მეზობელი ესალმება: „როგორა ხარ, ნიკო!“ „ეიფას გაუმარჯოს!.. ვფიზიკურ ჩემზე უარესს... ნეტარი დენს ჩართავენ?... ტელევიზორში ხომ არაფერი უთქვამთ?“. „არ ვიცი, არ მოგის მენია.. ტელევიზორში, იცოცხლე, იმედს გვაძლევენ“.

ნიკოგაკვლას ამთავრებს, ტროტუარზე გადის, ქუჩაში სიწყნარეა. გვერდით უცაბტრფოძალლგაჩერდნა, ნიკოთვალს აყოლებს და მოულოდნელი ბრალგანსახე უფეფდება – ტროტუარზე ვეებერთელა აკაციის ხეწაუცდენია წუხანდელ თოვლს.

ნიკოს სიხარულით სახე უნათდება: „ხომ ვთქვი, ღმერთია მოწყალე-მეთქი“.

* * *

ნიკო და მისი ორი მეზობელი აკაციის ხეს უტრიალებენ. ტოტებს ჭრიან, ჩეხავენ და იქვე აწყობენ.

„სამჯერ დავრეკე მერიაში, გამწვანების განყოფილებაში, გამგმარია ჩვენს ქუჩაზე აკაცია, წააძცევს ძარი და ვინმეს რამეს მოსწევს, მოდით, მოჭერითმეთქი.. სულზე არ მოგისწრო?.. ალარც შეშა მიმწდეს, ალარც ფული..“, – ამბობს ნიკო. „მალარიჩი შენზეა, მალარიჩი“, – ეუსაუბება ახალგაზრდა კაცი და მოზრდილ ტოტს ნაჭახნილ აპობს.

„რად უნდა მაგას ლაპარაკი.. კაი კახური ჭაჭა მაქვს.. ცოტა ყვლი, ცოტა ბამიდვრის მწნილი.. მგონი შაშხინ მოეძევება ნელის...“

„რალაცეებს ჩვენ გივუმატებთ. ნუგეშინია“, – ეუბნება მეორე, სპორტული ძუდი ყურეგამდე რომ ჩამოუფშატია. .. მეზობლების ბიჭები, ათი, თორმეტი ნლის ყმაწვილები თავს წამოადგნენ, თვალს ადევნებენ უფროსების საქმიანობას. „ბოთიკო, გაგუ, მოდი, შენ გაზრდას, რამდენიმე დერი შეშა წაულიდნელი გვიმოს.. არ გაგვეყინოს კაცო“, – ეუბნება ნიკოერთ-ერთ ყმაწვილს. ისიც უმალ იწყობს მალავზე შეშას, დანარჩენებიც მიცვივდებიან, ფაცურფუცობენ, გასავზინჭობენ, გაკრდზე ისუტფენ ნაჭრებს და მიაქვთ.

„ჩემთანაც ჭიტანაა, ბიჭებო“.. და მერე გაძეინფიმთ, იცოდეთ!“, – ხმას ადევნებს ყმაწვილებს საორტულ ეკონი.

* * *

შუა ეზოში ცეცხლი გუზგუზებს. სახლდახლო გაგიდია გაგლილი, ზედ რამე-რუმე საჭმელები აწყვია, იქვეა არყინი ბოთლი. მეზობლები – ათეოდე კაცი – ახალგაზრდა, ხანშეშესული – მაგიდასთან დგანან, ზეზეულად ფეეფცევენიან, საარაყე ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებენ და დიდი ჭიქებიით კი ლიმონათს აყოლეებენ.

ისმის: „ჩვენს მეზობლობას გაუმარჯოს!...“, „თბილისს გაუმარჯოს!..“, „ღმერთის წყალობა არ მოგვეშალოს!..“

ახალგაზრდა კაცი უახლოვდებათ, ფეფით საცხე ტომარა მკერდზე მიუხუტებია და ნელ-ნელა აბიჯებს, ფეხი რომ არ დაუცდეს გადათოვლილ ბილიკზე. „ეა, ნოდარს გაუმარჯოს... დაგაგვიანდა, მამაფეფნა მუქთად ითოვა ფეფა“, – ეუბნება ერთ-ერთი მეზობელი.. ნოდარ ფეფით საცხე ტომარას ბინის კარებთან აყუდებს და მეზობლებთან მიდის. არყით საცხე ჭიქას აწვდიან. ნიკოს კმაყოფილი სახე აქვს. „სანაგ შენ მოხვიდოდი, ღმერთმა უწყალობა მაგაფეფნეს ფეფა“, – ამბობს რომელილაცა და აგრძელებს: „კაი ბიჭი ხარ, ჩემო ნოდარ.. მოდით, მეზობლებო, მგმგლები რომ ახსოვთ, ისეთ ფეფილებს გაუმარჯოთ!“

„გაუმარჯოთ!“ – ეთანხმებიან მეზობლები.

ცეცხლი კი გუზგუზებს.

ვილენ მარდალეიშვილი

გახსენება

ზაქარია ხუროძე

ერთი წელია, რაც ჩვენს შორის ალარ არის გამოჩენილი მუსიკოსი, საქართველოს სახალხო არტისტი, დირიჟორი, პროფესორი ზაქარია ხუროძე (1925-2005ძ.

ბატონმა ზაქარიამ დიდი და შინაარსიანი შემოქმედებითი გზა განვლო. იგი გახლდათ ქალზე მრავალმხრივი, ფართო მხატვრული ინტერესების მქონე მუსიკოსი. თბილისის კონსერვატორია მან ორი განხრით დაამთავრა, როგორც კლარნეტისტმა და მუსიკისმცოდნემ, ხოლო მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტურა როგორც დირიჟორმა. სწორედ დირიჟორობა გახდა ზ. ხუროძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი საქმე, სადაც მან ღრმა კვალი დატოვა ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ისტორიაში და ფართო საზოგადოებრივი აღიარებაც მოიპოვა. საკმარისია ითქვას, რომ იგი მრავალი წლის განმავლობაში გახლდათ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრისა და რადიო-ტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, კარგა ხანს მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორად. მისი რეპერტუარი ვრცელი და მრავალმხრივი იყო და ფეიცავდა მსოფლიო მუსიკალური კლასიკის მრავალ ნიმუშს. დასაფასებელია ბატონი ზაქარიას ღვაწლი ქართული მუსიკის პროპაგანდის საქმეში. იგი გახლდათ ქართველ კომპოზიტორთა მრავალი ახალი ნაწარმოების პირველი და შესანიშნავი შემსრულებელი. დაუვიწყარია, მაგალითად, მის მიერ შ. მშველიძის, ა. მაჭავარიანის, ო. თაქთაქიშვილის, ა. ჩიმაკაძისა და სხვათა ნაწარმოებების ნიჭიერი და ღრმა ინტერპრეტაციები. წლების განმავლობაში პროფესორი ზ. ხუროძე მუშაობდა თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის დირიჟორად, სადაც განახორციელა მრავალი დადგმა, აღზარდა ახალგაზრდა მოყვარულთა თაობები. იგი ავტორია ორი ჩინებული წიგნისა: შ. მშველიძის „ზვიადაურის“ საშემსრულებლო ექსპოზიცია და „სიმფონიურ სამყაროში“, რომელიც საქართველოს მუსიკალური ცხოვრების თავისებური მატიანეა გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ბატონმა ზაქარიამ გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართული მუსიკის ისტორიაში, ხოლო თავისი შესანიშნავი პიროვნული თვისებებით და უვიწყარი მოგონებებები დატოვა თანამედროვეთა შორის.

გულბათ ტორაძე

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი და წლების განძილზე ჩვენი გაზეთის აქტიური თანამშრომელი, ჩინეზული პროფესიონალი, ფარად დახვეული გემოვნების მთარგმნელი და სტილისტი, საუკეთესო ადამიანური თვისებებით გამორჩეული ქალბატონი

ლია გოგიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები ნონა, თეგიზ აფხაძეები, შვილიშვილი ნინო, შვილიშვილის შვილი ანა, სიძე გიორგი კვაჩიძე, დისწულები სესილი კილაძე, მარინე გოგინაშვილი, ძმისწულები დოდო, მედიკო, მარიკა, კოტე, ზურა ლაცაბაიძეები ოჯახებით, ნათესავები, ახლოლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ქეთევან კონსტანტინეს ასული ლაცაბაძე

პანაშვიდი 31 I, 1 II, 17 სთ. გამოსვენება 2 II, 14 სთ. ალ. ყაზბეგის გამზ. 10 (მე-2 სადარბაზოძ.

შვილები დოდო, ლალი გაღდავაძეები, და თალიკო, ძმა ჭოლა ხოფერიები, შვილიშვილები ლედი, ნინო ბარამიძეები, თამთა გურგენიძე, შვილთაშვილები ლედი, დოდო დავითინიძეები, სიძეები ჯუმბერ ბარამიძე, ვაჟა გურგენიძე, მამუკა დავითინიძე, მძახლები ნუნუ, უშანგი გურგენიძეები, ძმისწულები ციცო, თენგო ხოფერიები, დისწულები ვერიკო, თემურ ურუშაძეები ოჯახებით იუწყებიან

ნაზი თეოდორეს ასული ხოფერია-გაღდავაძის

გარდაცვალებას

პანაშვიდი 31, I, 16 სთ. გამოსვენება 2 II, 14 სთ. მისამართი ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-7 კვ. მე-5-ბ კორპ. მე-3 სადარბაზო.

ცისანა კორკოტაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, რომ გარდაიცვალა

გედი ცხოვრებაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ი. ფალავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და თანამშრომლები, საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო ასოციაცია, საქართველოს ბავშვთა კლინიკური ალერგოლოგიისა და იმუნოლოგიის ასოციაციაა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გედი ცხოვრებაშვილი

და დიდ სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ალეკო ალავიძე, ანზორ ბაბუხადია, ზურაბ ბანძელაძე, ირაკლი გუკია, ავთანდილ კორძაძე, ბესიკ მიძელაძე, თორნიკე ნოზაძე, მურთაზ უგულავა, ოთარ ხურცილავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის, გამორჩეული ჟუთაისელი კაცის, ცნობილი ეძიმის

თეიმურაზ კვიტაშვილის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა 22 II, ჟუთაისში.

ხსოვნა

კარლო მეგრელიშვილი

ქალაქ თბილისის ინტელიგენციის რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი გამორჩეული და ღვაწლმოსილი პიროვნება, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი ბატონი კარლო მეგრელიშვილი.

თბილისში დაბადებულმა 17 წლის ასაკიდან დაიწყო მრეწველობის საძმაინობასა ქალაქმეურნეობაში, რომელსაც ემსახურებოდა თითქმის სიცოცხლის გოლოგდე. დიდია მისი დამსახურება თბილისის საქალაქმეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების საქმეში, ხოლო კაპიტალური მშენებლობისა და კეთილშენყობა-საქალაქო სამსახურების უფროსის და თბილისის საქალაქოს საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე ყოფნისას აქტიურად უწყობდა ხელს ქალაქისთვის მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობას. მისი უშუალო ხელშეწყობით აშენდა ისათი გამორჩეული ობიექტები, რომლისაც თბილისის მეტროლიტენი, სპორტის სასახლე, „დინამო“ სტადიონი, ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, თბილისი-აეროპორტის ავტოსტრადა, მდინარე მტკვრის სანაპიროები, მნიშვნელოვანი მაგისტრალური გზები, მათ შორის ბაკურიანი-ბაკურიანი, ბარაზონის ხევის და ავჭალის გზატკეცილი და სხვა, მსხვილი სპორტული სოკეკულტურული დანიშნულების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სხვა დიდმნიშვნელოვანი კომუნალური ობიექტები, გაფართოვდა საბინაო მშენებლობა.

ბატონი კარლო 1961 წლიდან არჩეული იყო ქ. თბილისის ყოფილი ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარედ, სადაც 7 წლის განმავლობაში ენერგიის დაუზოგავად, ნაყოფიერად და უდიდესი წარმატებით იმუშავა, რის გამოც მოსახლეობის დიდ პატივისცემას და სიყვარულს იმსახურებდა.

კარლო მეგრელიშვილი იყო უმწიკლო და ჭუმანური თვისებებით აღსავსე, ამავე დროს უალრესად ჭრიცხიანული პიროვნება, რომელიც გამორჩეულ სანიმუშო და მისაბაძი თავდადებული შრომით, კაცთმოყვარეობით და კეთილშობილებით. ყველგან, სადაც იგი მოღვაწეობდა, თავმანინრეთ ემსახურებოდა თავის სამშობლოს და ხალხს, უშურველად უწვდიდა ხელს გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანებს.

იგი ყოველთვის განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ახალგაზრდა კადრების მიმართ, ენერგიულად ეხმარებოდა მათ მინდობილი საქმის დაუფლებაში, პროფესიის ამაღლებაში, უზიარებდა მათ მდიდარ გამოცდილებას და ცოდნას.

1941 წლიდან ბატონი კარლო 6 წლის განმავლობაში სამხედრო სამსახურში იმსახურებოდა, წარმატებით იგრძოდა მოსკოვის და სტალინგრადის მისადგომებთან და ასევე ომის დამთავრების შემდეგ, რუმორაც საარტილერიო ნაწილის მეთაური, ემსახურებოდა ჯარის ალმშენებლობის საქმეს.

1979 წლიდან თითქმის სიცოცხლის ბოლოდან ბოლოვამდე ქ. თბილისის მერიის აპარატში მთავარი სპეციალისტის, მრჩეველის და მთავარი მრჩეველის თანამდებობაზე, ამასთანავე, აქტიურად მოღვაწეობდა თბილისის ომის და ბრძოლის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ბატონი კარლო დაჯილდოებული იყო მთავრობის 5 მედლით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული იწყინარის საპატიო წოდება, არჩეული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1998 წელს მას მიენიჭა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. 1999 წელს კ. მეგრელიშვილი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ქ. თბილისის მერია, მისი კოლექტივი და მრავალი მადლიერი პიროვნება დიდხანს და სათუთად შინახავს და პატივისცემით მოეკჭრება ბატონ კარლოს ნათელ ხსოვნას.

მეგობრები

სერგო კვიჟინაძე

ზამთრის სუსხიან დლეებში წავიდა ჩვენგან კეთილშობილი, გულითადი, თბილი და მოსიყვარულე მეგობარი, რომელთანაც გვაკავშირებდა მრავალწლიანი მეგობრობა.

ჩვენს გულებში კი დატოვა ტკივილი, მოუნელებელი სევდა.

ძალიან დაგვაკლდება მისი კეთილი, მუდამ მოდიმარი სახე. დაგვაკლდება მეგობარი, რომლისგან მხოლოდ სიკეთე და უსაზღვრო კეთილშობილება მოედინებოდა.

ჩვენო სერგო, არასოდეს დაგვიწყებენ ისინი, ვინც ოდესმე გიცნობდა.

კაცურად განვლე ცხოვრების ურთულესი გზა, არასოდეს ჭეშმარიტი გზიდან არ გადაგხვეულა, ერთი ნაბიჯი. გიყვარდა ძვეყანა, ხალხი და უფურველად იხარჯებოდი.

განისვენე მშვიდად, ვალმოხილილო ადამიანო, იცოდე, გვეხსომები, სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი ივლის ამქვეყნად.

მეგობრების ჯგუფი

მეულლე მედეა ახარხაძე, შვილები ბია, თინიკო, ნინო კვიჟინაძეები, რძალი თამარ თხელიძე, სიძეები ოთარ ვასაძე, ვალერი სულავა, ირაკლი აბუსერიძე, შვილიშვილები თეა კვიჟინაძე, ზურა, გურამ ვასაძეები, გიორგი ოთო სულავები, დისწული ნოდარ შუკაკიძე, მძახლები ბეტუშა, გიზო ვასაძეები, ეკა, თენგიზ აბუსერიძეები, ანიკო სულავა ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სერგო გრიგოლის ძე კვიჟინაძე

პანაშვიდი 31. 01, 1 II, 16 სთ. გამოსვენება 2 II, 14 სთ. თბილისი, კანდელაკის 1.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ არმაზ სანებლიძეს მძახლის

მიზეილ თეთრაშვილის

გარდაცვალების გამო.

ლარის კურსი

31 იანვრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,1982	ლარი
აშშ დოლარი	1	1,8125	ლარი
ევრო	1	2,1904	ლარი
რუსული რუბლი	1	0,0645	ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9804	ლარი.
სომხური დრამი	100	0,4036	ლარი.
უკრაინული გრივნა	10	3,5856	ლარი.
თურქული ლირა	1	1,3648	ლარი.
ირანული რიალი	1000	0,1990	ლარი.
ისრაელის შეკელი	1	0,3909	ლარი.
უნგრული ფორინგი	100	0,8728	ლარი.
რუმინული ლეი	10000	0,6089	ლარი.
პოლონური ზლოტი	1	0,5752	ლარი.
ბულგარული ლევი	1	1,1203	ლარი.
იაპონური იენი	10	0,1542	ლარი.
კანადური დოლარი	1	1,5764	ლარი.
ჩეხური კრონა	1	0,0776	ლარი.

ამინდი

დასავლეთ საქართველოში – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+2^0$ – $+5^0$, დამით -1^0 – -5^0.

აღმოსავლეთ საქართველოში – ღრუბლიანი ამინდი, თოვლი. ჰაერის ტემპერატურა: დღისით -2^0 – $+4^0$, დამით -8^0 – -3^0.

თბილისში – ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი. ჰაერის ტემპერატურა: დამით -9^0 დღისით $+3^0$.

ბათუმი – დ. $+2^0$, დ. $+5^0$; **სოხუმი** – დ. -3^0. დ. $+4^0$; **ქუთაისი** – დ. $+1^0$. დ. $+3^0$; **ოზურგეთი** – დ. $+2^0$, დ. $+4^0$, **ზუსტაფონი** – დ. -1^0, დ. $+4^0$; **რუსთავი** – დ. -8^0, დ. $+3^0$; **ფოთი** – დ. $+2^0$, დ. $+7^0$; **მესტია** – (თოვლი) დ. -16^0, დ. -10^0; **სტეფანწმინდა** – (თოვლი) დ. -15^0, დ. -9^0; **თელავი** – დ. -6^0, დ. $+1^0$; **გორი** – დ. -6^0, დ. $+2^0$; **ახალციხე** – დ. -10^0, დ. $+1^0$; **ბორჯომი** – დ. -9^0, დ. $+2^0$; **ცხინვალი** – დ. -3^0, დ. $+4^0$; **სამტრედია** – დ. -2^0, დ. $+8^0$; **ზუგდიდი** – დ. -2^0, დ. $+6^0$; **ჭიათურა –** დ. -6^0, დ. $+3^0$.

ხსოვნა

ლია გოგიშვილი

ღირსეულად იცხოვრა ლია გოგიშვილმა – სამოცდაათს ისე გადააბიჯა, უკან მიხედვისა არასოდეს შინებია. ორგოც წელი-წადს იმუშავა რედაქციებში – „საქართველოს ქალში“, „საქინფორმში“, „კოუნსტაში“ – ნერდა, თარგმნიდა, ასწორებდა; ბოლო წლებში რკინიგზის დეპარტამენტსაც დასდო ამაგი: აქართულებდა ტრადიციულად რუსულენოვანი სამსახურის ინსტრუქციებს (უინტერესოს და, იმავდროულად, უალრესად საჭიროს), ავლენდა, აცოცხლებდა და ამკვიდრებდა ქართულ სარკინიგზო ტერმინებს. ახსოვს ვინმეს?..

რთული ცხოვრება ჰქონდა – რთული, ბევრისთვის გაუგებარი ერთგული სიყვარულით, ღირსეული შვილის მოსწრების სიხარულითა და ცალადნატარები ულლის ბოლოდან გატანის შვებით განსთებული.

რა დარჩა ლიას ამ ქვეყანაზე? შესანიშნავი საგავშო მოთხრობები, საინტერესო თარგმანები, ადამიანებისადმი სიყვარულით აღსავსე ნარკვევები. დარჩა ქალიშვილი იკა ურუშაძე, დედასავით მომხიბვლელი, ნაზი და უტეხი, დარჩა ნაცნობ-მეგობრების თაყვანისცემა და სინანული, რომ, ალბათ, მაინც დავაკელით მთავარი, რითაც გვიდგას სული – ყურადღება, და კიდევ – ასოებით მისეული ქართული ტექნიკური ტერმინი, დღეს ურიცხვ სამსახურებრივ ცირკულარებსა და ინსტრუქციებში რომ არის გაბნეულ-ჩაკარგული.

... რამდენიმე ათეული წლის წინათ იშვიათმა მოქართულემ, ენათმეცნიერმა შანშე ასათიანმა, იმ დროს საქართველოს დეკანეზათა საბჭოს ქართული რედაქციის ხელმძღვანელმა, რომელსაც საბოდათი წელი შესრულებია და, თავისი მოწაფეების ჯგუფში მცხეთაში წაიყვანა და ჯვარზე დაადებინა ფიცი, რომ შულალტოდ ემსახურებოდნენ ქართული ენის სიწმინდის დაცვას. იმ მოწაფეებს შორის ლია გოგიშვილიც იყო, მაშინ – ახალგაზრდა, ქერა, ცისფერთვალება...

ლიას ის (და ბევრი სხვა, დაუდგენელიძ ფიცი სიცოცხლის ბოლომდე არ გაუტეხავს.

ღმერთმა გაცხოროს, დამეფიანთელში გამყოფოს, ჩვენო ლიკაკო.

მეგობრები

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი
თენგიზ კალანდაძე.
ძიზიყის ქ. №12,
ტ: 71-68-81, 899 797679

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთ. რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაბეჭდილა ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებებიც, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიები ნუ შემოგვთავაზებენ.